სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №9

დაბა ქედა 27 აპრილი 2022 წ.

ერთის მხრივ, შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბადრი მახარაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ფარმასითი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“),მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის ია აბულაძის სახით საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თამვჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანების მე-2 მუხლის “ა” პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან სამედიცინო სახარჯი მასალების მოწოდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკატორით-CPV33140000 განსაზღვრული საქონელი, დანართი №1 შესაბამისად რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება.

3.1 შესაძენი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს 2574,00 (ორიათასხუთასსამოცდათოთხმეტი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმწოდებელის მიერ განხორციელდება 2022 წლის 31 დეკემბრამდე.

4.2ხელშეკრულების თანახმად შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია დ. ქედა ტბელ აბუსერიძის ქუჩა №13.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 ხელშეკრულების ობიექტის მიღებას ახორციელებს შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად მიღებული შესყიდვის ობიექტის რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტი) და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 კალენდარულ დღეში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7. 1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა)ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი;

7. 2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7. 3 მიმწოდებელი უფლებამოსილია

ა)მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7. 4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით;

ბ) უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება ტექნიკური დავალების შესასრულებლად;

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელს არა აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, მხარის მიერ ხელშეკრულების შესაბამისად, გაეგზავნება მეორე მხარეს წერილობითი სახით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 ხელშეკრულების შერულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2 იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანმხდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 ხელშეკრულებით დამტკიცებული ვადების დარღვევისათვის მხარეები ჯარიმის სახით გადაიხდიან სახელშეკრულებო ღირებულების 0,02 %-ს, ყოველ გადაცილებულ დღეზე.

13.2 საჯარიმო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში.

13.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგამსატეხლოს ჯამური ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მომწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

13.4 საჯარიმო თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.1 ხელისშემშლელი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

14.2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ანმისინაწილის) შეწყვეტამდე 2 (ორი) კვირით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ფორს-მაჟორი

15.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

15.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ, შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

15.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. დასკვნითი დებულებანი

17.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთ პატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გარღმავების სურვილით.

17.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

17.3 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან, ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

17.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება, გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

17.5 ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის შეთანხმების წერილობითი გაფორმების შედეგად.

17.6 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად. 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო 1 (ერთი) ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს.

19. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები:

„შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი“
შპს ,,ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“	შპს ,,ფარმასითი“
მის: დ. ქედა ტბელ აბუსერიძის ქუჩა №13	მის: დ. ქედა აღმაშენებლის ქუჩა №10
ს/კ246754150	ს/კ.446759623
ს.რ.: სს"საქართველოს ბანკი"	ა/ა GE91BG0000000524690408
ბ/კ BAGAGE22	ს.ს. “საქართველოს ბანკი“
ანგ.ნ.: GE36BG00000000335770900	ბ/კ BAGAGE22
დირექტორის მ/შ: /ბადრი მახარაძე/	დირექტორი: /ია აბულაძე/

დანართი 1

n	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
1	შპრიცი 2,0	1980	0.20	396.00
2	შპრიცი5.0	2640	0.20	528.00
3	შპრიცი10,0	660	0.30	198.00
4	ლეიკოპლასტირი	132	1.00	132.00
5	სტერილური ბინტი	132	1.00	132.00
6	ბამბა	132	0.70	92.40
7	არასტერილური ხელთათმანი	396	0.60	237.60
8	შპადელი	1320	0.10	132.00
9	ნიღაბი	660	0.20	132.00
10	თერმომეტრი	132	4.00	528.00
11	ორსულობის დასადგენი ტესტი	132	0.50	66.00
			ჯამი:	**2,574.00**

შპს ,,ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“:

LTD ,,KEDA MOTOR TRANSPORT ENTERPRISE"

Digitally signed by LTD ,,KEDA MOTOR TRANSPORT ENTERPRISE"
Date: 2022.04.27 10:56:10 +04'00'

შპს ,,ფარმასითი“:

Ia Abuladze

Digitally signed by Ia Abuladze
Date: 2022.04.27 10:57:05 +04'00'